საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №11/ნ

2021 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობები“ თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

<u>**დანართი**</u>

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – სისტემა) შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების, სისტემაში ინფორმაციის დამუშავების (სისტემაში ინფორმაციის შეტანა, შენახვა, შეცვლა, გამოყენება ან/და გაცემა) წესებს და პირობებს, ასევე პასუხისმგებლობებს სისტემაში ინფორმაციის დამუშავებაზე.

2. სისტემა წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობითა და მის საფუძველზე განსაზღვრულ ინფორმაციას და რომელშიც ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლების მიერ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №162/ნ - ვებგვერდი, 29.12.2023წ.

მუხლი 2. სისტემის ადმინისტრირება

1. სისტემის შექმნასა და ადმინისტრირებაზე, ასევე მასში ასახული ინფორმაციის შეგროვებაზე, შენახვაზე, დამუშავებასა და ანალიზზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს მართვის სისტემა.

2. მართვის სისტემა უფლებამოსილია სისტემის ფუნქციონირებისა და ადმინისტრირების მიზნით,

განსაზღვროს სისტემაზე წვდომის/დაშვების დონეები.

3. მართვის სისტემა უფლებამოსილია, სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის ან/და მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობის/კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სტატუსის არსებობის ფაქტის დადგენის/გადამოწმების მიზნით, მიიღოს და დაამუშავოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული, ფიზიკური პირის შემდეგი პერსონალური მონაცემები:

ა) სახელი, გვარი;

ბ) პირადი ნომერი;

გ) დაბადების თარიღი;

დ) სქესი;

ე) მოქალაქეობა;

ვ) იურიდიული მისამართი;

ზ) ფოტოსურათი.

თავი II

სისტემის სუბიექტები

მუხლი 3. სისტემის სუბიექტები

1. სისტემით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ სისტემის სუბიექტებს.

2. სისტემის სუბიექტები არიან:

ა) სამინისტრო;

ბ) მართვის სისტემა;

გ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ხარისხის განვითარების ცენტრი);

დ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – გამოცდების ცენტრი);

ე) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი);

ვ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო);

ვ[1]) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;

ზ) იურიდიული პირი, რომელსაც სურს ან უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები და მოკლე

ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები;

ზ[1]) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – პროფესიული უნარების სააგენტო.

თ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა პირები.

3. სისტემის სუბიექტები სისტემაში ინფორმაციის დამუშავებას ახორციელებენ მართვის სისტემის მიერ ავტორიზებული მომხმარებლების მეშვეობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №102/ნ - ვებგვერდი, 15.09.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №174/ნ - ვებგვერდი, 30.10.2024წ.

მუხლი 4. სისტემაში ავტორიზაცია

1. სისტემის სუბიექტის მხრიდან სისტემაზე წვდომისათვის საჭიროა ავტორიზაციის გავლა. სისტემის სუბიექტის უფლებამოსილი პირის სისტემის ავტორიზებულ მომხმარებლად რეგისტრაცია და ამ წესით გათვალისწინებული უფლების/უფლებების მინიჭება ხორციელდება უშუალოდ სისტემის სუბიექტის ან მართვის სისტემის მიერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.

2. სისტემის თითოეულ სუბიექტს სისტემაში გააჩნია მისთვის მინიჭებული ინფორმაციაზე წვდომის მასშტაბი, რომლის ფარგლებში შესაბამის ავტორიზებულ მომხმარებელს შესაძლებელია მიენიჭოს შემდეგი სახის უფლებები:

ა) სისტემაში ასახული ინფორმაციის დათვალიერების/გამოყენების უფლება;

ბ) ინფორმაციის სისტემაში შეტანისა და/ან ატვირთვის უფლება;

გ) სისტემაში ასახული ინფორმაციის რედაქტირების უფლება;

დ) სისტემაში ასახული ინფორმაციის წაშლის უფლება.

3. ავტორიზებულ მომხმარებელს შესაძლებელია მიენიჭოს ერთზე მეტი სახის უფლება.

4. წვდომის მასშტაბი და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კონკრეტული სახის უფლების მინიჭების საკითხი განისაზღვრება სისტემის სუბიექტისათვის კანონმდებლობითა და მის საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით.

5. ავტორიზებული მომხმარებლის სისტემაში შესვლა ხდება მომხმარებლის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართის ავტორიზაციის პაროლის საშუალებით.

6. სისტემის სუბიექტი და ავტორიზებული მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას სისტემის უსაფრთხოების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისტემის სუბიექტი და ავტორიზებული მომხმარებელი პასუხისმგებელია დარღვევით გამოწვეულ შედეგზე.

თავი III

სისტემაში არსებული ინფორმაცია

მუხლი 5. სისტემაში არსებული ინფორმაცია

1. სისტემაში მუშავდება შემდეგი კატეგორიის ინფორმაცია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ;

ბ) მოდულების შესახებ;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირების შესახებ;

დ) პროგრამების შესახებ;

ე) დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ;

ვ) პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ;

ზ) პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირების/ჩარიცხული პირების შესახებ;

თ) დაწესებულების დაფინანსების შესახებ.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების ან/და ინფორმაციის სისტემატიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია განისაზღვროს სისტემაში სხვა ინფორმაციის (გარდა პერსონალური მონაცემებისა) დამუშავების აუცილებლობა, სისტემის სუბიექტები და შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი IV

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.

2. სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერს;

გ) მისანიჭებელ კვალიფიკაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანს;

ე) მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით;

ვ) კლასიფიკაციის აღწერას, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED-F 2013), დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ISCO-08 და ეკონომიკური

საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით;

ზ) დასაქმების შესაძლებლობებს;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

ი) სწავლის შედეგებსა და სწავლის შედეგების დეტალურ აღწერას;

კ) კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების (ECVET) რაოდენობას, კვალიფიკაციის მისანიჭებლად სავალდებულო ზოგადი და პროფესიული მოდულების დასახელებას და მათ კრედიტთა რაოდენობას, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ განსაზღვრის შემთხვევაში – არჩევითი მოდულების ბლოკსა და მის კრედიტთა რაოდენობას;

ლ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების საფუძველს;

მ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ვერსიას;

ნ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადახედვის ვადას;

ო) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცების/მასში ცვლილების შეტანის/გაუქმების გადაწყვეტილების რეკვიზიტებს (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები), ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებულ შესაბამის დათქმებს;

პ) პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის დანართს, რომლითაც განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებული მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოდულების დასახელების მითითებით;

ჟ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – პროფესიული უნარების სააგენტო უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის, ხოლო მართვის სისტემა – იმავე პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემაში ასახვას. აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცების/მასში ცვლილების/დამატების შეტანის/გაუქმების გადაწყვეტილების მიღებიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №174/ნ - ვებგვერდი, 30.10.2024წ.

თავი V

ინფორმაცია მოდულების შესახებ

მუხლი 7. მოდულების შესახებ ინფორმაცია

1. მოდულების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული ყველა მოდული.

2. სისტემა მოდულების შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მოდულის სახელწოდებას;

ბ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერს;

გ) მოდულის მოცულობას კრედიტებში;

დ) სწავლის შედეგებს;

ე) სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს ინფორმაციას იმ მინიმალური სტანდარტების შესახებ, რომელთა დაკმაყოფილებაც პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად მოეთხოვება;

ვ) კომპეტენციის პარამეტრების ფარგლებს, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული უნარებისა და ცოდნის მასშტაბების და სიღრმის დაზუსტებას;

ზ) შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით);

თ) სწავლის შედეგის მოცულობას კრედიტებში;

ი) საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემას;

კ) შესაბამისი მოდულის სწავლებისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წასაყენებელ აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ლ) მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, თემატიკას, სწავლების რეკომენდებულ ფორმას, შეფასების რეკომენდებულ მეთოდებს, რეკომენდებულ მტკიცებულებებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის, ინფორმაციას რეკომენდებული სასწავლო რესურსების შესახებ და სხვა;

მ) მოდულის ვერსიას;

ნ) მოდულის დამტკიცების/მასში ცვლილების შეტანის/გაუქმების გადაწყვეტილების რეკვიზიტებს (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები)/გადახედვის ვადას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ო) მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელ მაქსიმალურ ოდენობას;

პ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – პროფესიული უნარების სააგენტო, ხოლო დამოუკიდებელი პროფესიული მოდულის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემაში ასახვას. აღნიშნული ინფორმაციის სისტემაში ასახვა ხდება:

ა) მოდულის დამტკიცების/მასში ცვლილების/დამატების შეტანის/გაუქმების გადაწყვეტილების, ასევე იმ გადაწყვეტილების, რომლებიც იწვევენ ცვლილებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციაში, მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოუკიდებელი პროფესიული მოდულის შემუშავების შემთხვევაში, არაუგვიანეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემაში ასახვას შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან, ასევე იმ სამართლებრივი აქტის, რომელიც იწვევს ცვლილებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციაში, გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №174/ნ - ვებგვერდი, 30.10.2024წ.

თავი VI

ინფორმაცია დაწესებულებების შესახებ

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება ინფორმაცია იმ დაწესებულებების შესახებ, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვეს შესაბამისი პროგრამის განხორციელების უფლება.

2. სისტემა, დაწესებულებების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) სამართლებრივი ფორმა;

დ) დაწესებულების სახე;

ე) დაწესებულების ტიპი (სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული, კერძო სამართლის იურიდიული პირი);

ვ) ავტორიზაციის მინიჭების თარიღი, ვადა და შესაბამისი ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები, ავტორიზაციის ვადის ამოწურვის/ავტორიზაციის გაუქმების თარიღი);

ზ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

თ) საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ვებგვერდის მისამართი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართ(ებ)ი – რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით;

ი) საბანკო რეკვიზიტები;

კ) ინფრასტრუქტურა;

ლ) მატერიალური რესურსი (ინვენტარი-აღჭურვილობა);

მ) საქმიანობის სფერო;

ნ) ბიზნესთან თანამშრომლობა;

ო) პასუხისმგებელი პირები (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი));

პ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილები;

ჟ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“– „ვ“, „მ“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემაში ასახვას, ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ინფორმაციის მოწოდებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ – „ლ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.

მუხლი 9. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების პროცესი და ინფორმაცია იმ იურიდიული პირების შესახებ, რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება.

2. სისტემა, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) სამართლებრივი ფორმა;

დ) საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართ(ებ)ი – რეგიონის და თვითმმართველი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მითითებით);

ე) პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები (გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის ნომერი, გადაწყვეტილების მიღების და ძალაში შესვლის თარიღები);

ვ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში

შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების პროცესის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით. სისტემაში ასახული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილების სისტემაში ასახვა ხდება მის შესახებ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ცვლილება არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.

თავი VII

ინფორმაცია პროგრამების შესახებ

მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი, ასევე ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

2. სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) იმ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას და სარეგისტრაციო ნომერს, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელების ფორმას;

დ) ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის დონეს;

ვ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფეროსა და შესაბამის კოდს, დეტალური სფეროს მე-3 სვეტით განსაზღვრული სწავლის სფეროსა და შესაბამის კოდს;

ზ) მისანიჭებელ პროფესიულ კვალიფიკაციას;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობას ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის;

ი) სწავლების ენას;

კ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს;

ლ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

მ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას;

ნ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილს (მისამართი);

ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას (თვეების მიხედვით);

პ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს;

ჟ) ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდულის სწავლის შედეგებს;

რ) ინფორმაციას მოდულის სწავლის შედეგების დაწესებულებასა და რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში მისაღწევ სწავლის შედეგებად განაწილების შესახებ;

ს) შესაბამისი დაწესებულების მიერ სისტემაში ასახული მოდულის ხანგრძლივობას (კვირებში/საათებში);

ტ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელ მაქსიმალურ ოდენობას;

უ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის სწავლის საფასურის ოდენობას;

ფ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის (ინვენტარი – აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული), ხოლო არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი რესურსის მოთხოვნისათვის საჭირო ინფორმაციას;

ქ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციას;

ღ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ი“, „ლ“-„ჟ“, „ტ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში აისახება მართვის სისტემის მიერ, ხოლო „კ“, „რ“-„ს“ და „უ“–„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია – შესაბამისი დაწესებულების მიერ შესაბამისი აქტების ძალაში შესვლიდან ან გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

4. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემაში ასახვას შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან, ასევე იმ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რომლებიც იწვევენ ცვლილებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №174/ნ - ვებგვერდი, 30.10.2024წ.

მუხლი 11. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში აისახება აღნიშნული პროგრამების შემუშავება/დამტკიცების პროცესი და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ყველა პროგრამა.

2. სისტემა, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ, მოიცავს

შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის სახელწოდებასა და სახეს (მომზადება/გადამზადება);

ბ) პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;

გ) პროგრამის ხანგრძლივობა;

დ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა(ასაკი, განათლება და სხვ.);

ე) პროგრამის მოკლე აღწერა;

ვ) პროგრამის განხორციელების ადგილი;

ზ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე;

თ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);

ი) პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი (ინვენტარი – აღჭურვილობა);

კ) პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსი;

ლ) მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი იურიდიული პირის მიერ, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესით. სისტემაში ასახული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილების სისტემაში ასახვა ხდება მის შესახებ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ცვლილება არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.

თავი VIII

ინფორმაცია დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია

1. სისტემა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) თანამშრომლის მიერ დაკავებული თანამდებობა, თანამდებობის დაკავების ან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის თარიღი, გათავისუფლების თარიღი, შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვით;

გ) თანამშრომლის განათლება (დაწყება/დასრულების თარიღები, აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, გავლილი ტრენინგები/სასწავლო კურსები) და სამუშაო გამოცდილება;

დ) პროგრამის/საგნის/მოდულისა და მიღების შესახებ ინფორმაცია, რომლის განხორციელებაშიც არის ჩართული თანამშრომელი (აკადემიური პერსონალი).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

მუხლი 13. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია

1. სისტემა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის სახელწოდება და სახე (მომზადება/გადამზადება);

ბ) პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) თანამშრომლის მიერ დაკავებული თანამდებობა, თანამდებობის დაკავების ან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის თარიღი, გათავისუფლების თარიღი;

დ) თანამშრომლის განათლება (დაწყება/დასრულების თარიღები, აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, გავლილი ტრენინგები/სასწავლო კურსები) და სამუშაო გამოცდილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

თავი IX

ინფორმაცია პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ

მუხლი 14. პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ ინფორმაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ სისტემაში შესატანი კონკრეტული ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები და მათი კონკრეტული ვალდებულებები განისაზღვრება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით.

2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის/მიღების შესახებ სისტემაში

შესატანი კონკრეტული ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები და მათი კონკრეტული ვალდებულებები განისაზღვრება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.

თავი X

ინფორმაცია პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ

მუხლი 15. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია

1. სისტემა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული), საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ბ) განათლება (ზოგადი განათლების საბაზო ან საშუალო საფეხური, ინფორმაცია სხვა სახის განათლების არსებობის თაობაზე);

გ) პროგრამა, რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მოპოვება/მინიჭება;

დ) პირის სტატუსი (ჩარიცხვის უფლების მქონე პირი, აპლიკანტი, პროფესიული სტუდენტი, მომლოდინე, შეჩერებული, შეწყვეტილი, კურსდამთავრებული და სხვ.);

ე) პირის პროგრამაზე ჩარიცხვის/შეჩერების/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, საფუძველი, შესაბამისი აქტის ნომერი და თარიღი;

ვ) პროგრამის დასრულების შემდეგ, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების აქტის ნომერი და თარიღი;

ზ) მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ნომერი და სერია, გაცემის თარიღი, შესაბამისი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვით;

თ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის დანართი;

ი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი;

კ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, პირის სოციალური სტატუსის შესახებ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტისგან, პირის თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში აისახება მართვის სისტემის მიერ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით, გარდა ამავე ბრძანების 24-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან, ხოლო თუ ინფორმაციის არსებობა არ უკავშირდება სამართლებრივი აქტის გამოცემას – შესაბამისი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის სისტემაში ასახვის განსხვავებული ვადები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.

მუხლი 16. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია

1. სისტემა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი (ფაქტობრივი/იურიდიული), საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ბ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;

გ) პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სახელწოდება და პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება), რომელზეც განხორციელდა ჩარიცხვის უფლების მოპოვება/მინიჭება;

დ) პირის სტატუსი (რეგისტრირებული, აქტიური, შეწყვეტილი, კურსდამთავრებული);

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი;

ვ) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მიღებული ინფორმაცია პირის სოციალური სტატუსის შესახებ;

ზ) ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია სისტემაში შეიტანება შესაბამისი დაწესებულების მიერ „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

თავი XI

ინფორმაცია დაწესებულების დაფინანსების შესახებ

მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია

1. სისტემა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მქონე დაწესებულების დაფინანსების შესახებ, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დაწესებულების სახელწოდება რომლის დაფინანსებაც ხორციელდება, ამავე დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი და სამართლებრივი ფორმა;

ბ) დაფინანსების სახე (ვაუჩერული დაფინანსება; მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება);

გ) დაფინანსების ოდენობა;

დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, ასევე მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა.

2. დაწესებულების დაფინანსების შესახებ სისტემაში ინფორმაციის შეტანა ხორციელდება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ვადებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 15.06.2022წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №162/ნ - ვებგვერდი, 29.12.2023წ.

თავი XII

სისტემის მონიტორინგი, ცვლილებები და პასუხისმგებლობა სისტემაში ინფორმაციის დამუშავებაზე

მუხლი 18. სისტემის მონიტორინგი და სისტემაში არსებულ ინფორმაციაში ცვლილებები

1. სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის გადამოწმება (მონიტორინგი) ხორციელდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

2. იმ გარემოებათა შეცვლისას, რაც საფუძვლად დაედო სისტემაში ინფორმაციის შეტანას, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. სისტემაში ცვლილებას ახორციელებს შესაბამისი ინფორმაციის შემტანი სისტემის სუბიექტი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სისტემაში ინფორმაციის ცვლილების/სისტემიდან ინფორმაციის ამოღების საფუძველია სისტემაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგები ან/და ინფორმაციაში არსებული ტექნიკური შეცდომა.

მუხლი 19. სისტემაში ინფორმაციის შეტანის ვალდებულება და პასუხისმგებლობა ინფორმაციის დამუშავებაზე

1. სისტემის სუბიექტები ვალდებულნი არიან, ამ წესის შესაბამისად და დადგენილ ვადებში, ასახონ ინფორმაცია სისტემაში.

2. სისტემაში ინფორმაციის დროულად შეუტანლობა შეიძლება გახდეს სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული განსახორციელებელი მოქმედების შეჩერების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი.

3. სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ამ ინფორმაციის

აღნიშნულ სისტემაში ასახვის ვალდებულების მქონე სისტემის სუბიექტი.

თავი XIII

სისტემაში ასახული ინფორმაციის უტყუარობის პრეზუმფცია

მუხლი 20. სისტემაში ასახული ინფორმაციის უტყუარობის პრეზუმფცია

1. სისტემაში ასახული ინფორმაციის მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია.

2. სისტემაში ასახული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ის სუბიექტი, რომელმაც განახორციელა სისტემაში ინფორმაციის დამუშავება.

3. სისტემაში ინფორმაციის შემტანი სუბიექტის სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასა და სისტემაში ასახულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, გაითვალისწინება სისტემის მონაცემები.

4. საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია დადგინდეს სისტემის სუბიექტის მიერ სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისტემის სხვა სუბიექტის მხრიდან დადასტურების აუცილებლობა და დადასტურებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი XIV

სისტემის უსაფრთხოება და სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა

მუხლი 21. სისტემის უსაფრთხოება

1. სისტემის ვებგვერდი განთავსებულია მართვის სისტემის სერვერებზე, რომლის უსაფრთხოებასა და მაღალტექნოლოგიურობას უზრუნველყოფს მართვის სისტემა.

2. სისტემაში არსებული ინფორმაციის სარეზერვო ასლის შექმნა ხორციელდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი სარეზერვო ასლების და ჩანაწერების შენახვის წესის შესაბამისად.

3. დაუშვებელია ავტორიზებული მომხმარებლის მიერ მომხმარებლის სახელის და პაროლის გადაცემა სხვა პირებზე. უსაფრთხოების აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი პასუხისმგებელია არაავტორიზებული წვდომით მიღებულ შედეგზე.

4. ავტორიზებული მომხმარებლის სესიის ხანგრძლივობა სისტემაში უმოქმედობის შემთხვევაში განისაზღვრება 30 წუთით. ამ დროის გასვლის შემდეგ ავტომატურად ხდება სისტემიდან გამოსვლა (Log out) და სესიის გასუფთავება.

მუხლი 22. სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და შენახვის ვადა

1. სისტემაში ასახული ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს.

2. სისტემაში ასახული პერსონალური მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის და დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

3. სისტემაში ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა გააჩნია:

ა) სისტემის სუბიექტის თანამშრომლებს, რომელთაც გააჩნიათ სისტემაში მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;

ბ) მართვის სისტემის თანამშრომლებს, რომელთაც საკუთარი უფლება-მოვალეობის შესრულების მიზნით, ესაჭიროებათ მონაცემებზე წვდომა და გააჩნიათ სისტემაში მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;

გ) მართვის სისტემის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ სისტემის შექმნაში (დეველოპერი), დახვეწაში ან/და მართვაში;

დ) სხვა პირებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირები, ვალდებულნი არიან დაიცვან სისტემაში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობა, არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. სისტემაში ასახული მონაცემები ინახება აღნიშნული პირების აქტიური სტატუსის განმავლობაში. აქტიური სტატუსის შეწყვეტისას, მონაცემები ელექტრონულად არქივდება და ინახება 75 წლის განმავლობაში. დაარქივებული მონაცემები ხელმისაწვდომი აღარ არის სისტემის მომხმარებლებისათვის. დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა ექნება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირს/პირებს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. 75 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ – მონაცემები წაიშლება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის აქტიური სტატუსის შეწყვეტაში იგულისხმება – პროფესიული სტუდენტისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სტატუსის შეწყვეტა, ხოლო დაწესებულებაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის – ამავე დაწესებულებასთან არსებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

7. სისტემაში ასახული მონაცემები, რომლებიც არ განეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ელექტრონულად არქივდება და ინახება, მათი სისტემიდან ამოღებიდან, 75 წლის განმავლობაში.

მუხლი 23. სისტემაში განხორციელებული ოპერაციების შენახვა (ლოგირება)

1. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფილია ე.წ. აუდიტ ლოგირების საშუალებებით. მომხმარებლის სამუშაო გარემოდან განხორციელებული წარმატებული და წარუმატებელი ოპერაციების და მცდელობების 100% (წაკითხვა, დამატება, რედაქტირება და წაშლა-CRUD) ინახება (ლოგირება), წაკითხვის შემთხვევაში, განხორციელდება მხოლოდ იმ გვერდების ლოგირება, სადაც ფიქსირდება პერსონალური მონაცემი.

2. სისტემისგან დამოუკიდებლად განხორციელდება მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორის მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედებების (CRUD) ლოგირება.

3. ავტორიზებული მომხმარებლის ქმედების ლოგირება:

ა) ქმედების ტიპი-CRUD;

ბ) ქმედების ობიექტი;

გ) ქმედების დრო;

დ) მომხმარებლის სახელი;

ე) IP მისამართი.

4. შეცდომის ლოგირება:

ა) შეცდომის ტიპი;

ბ) შეცდომის დაშვების დრო;

გ) ქმედების ობიექტი;

დ) IP მისამართი.

მუხლი 24. სისტემიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა

1. მართვის სისტემა აწარმოებს სისტემიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვას. აღრიცხვის მიზნით, მართვის სისტემა ინახავს გამოთხოვილი ინფორმაციის საერთო რაოდენობას, თითოეული მოთხოვნის გაგზავნის დროს და შინაარსს, მიღებული ინფორმაციის შინაარსსა და დროს. ასევე, მართვის სისტემა უზრუნველყოფს მისგან გაგზავნილი ყოველი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებას და აღრიცხვას.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია ინახება 6 თვის ვადით.

თავი XV

გარდამავალი დებულებები

მუხლი 25. გარდამავალი დებულებები

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი წარმოადგენს სისტემის მონაცემთა წყაროს. ამ წესის ამოქმედებამდე საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული ინფორმაცია ჩაითვალოს სისტემაში ასახულ ინფორმაციად.

2. მართვის სისტემა ვალდებულია 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს წინამდებარე წესით გათვალისწინებული ფუნქციონალის შექმნა და გამართული ფუნქციონირება.

3. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონე მართვის სისტემაში აისახება მას შემდეგ, რაც რეფერენსირების პროცესის ფარგლებში დადგინდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თავსებადობა ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან.

4. ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოდულების შესახებ სისტემაში ასახული ინფორმაცია დარჩეს უცვლელი და მასზე არ გავრცელდეს ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლები. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში და მოდულებში, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილების შეტანაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – პროფესიული უნარების სააგენტო, გარდა მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობისა და მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციისა. მოდულის საფასურის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი მაქსიმალური ოდენობის და მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის სისტემაში შეტანაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს მართვის სისტემა.

5. გარდა ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, მართვის სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), ასევე, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის კოდისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესახებ დასრულებული ან/და მილევად რეჟიმში არსებული პროგრამებისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №174/ნ - ვებგვერდი, 30.10.2024წ.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**